№ 264 — 1877—1894 — № 264

ოთხშაბათი 14 დეკემბერი 1894

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

გამოვიდა, დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებსა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული
კედლის კალენდარი
(4—6.—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება
ქართული ანბანი
შედგენილი
გრ. ტატიშვილის მიერ
ამ ანბანში მოქცეულია წყვილ-წყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ქართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და ამოიკეროს.

## ტფილისი, 14 დეკემბერი

სამეურნეო კრედიტს და სამეურნეო დაზღვევას ერთი და იგივე დედა-აზრი აქვთ სარჩულად დადებული. რაკი მეურნეობა ისეთი წარმოება არის, რომლის შესახებ არ შეიძლება კაცმა სთქვას რომ იგი მკვიდრ და შეურყეველ ნიადაგზედ იყოს დამყარებული ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში — ამიტომ მეურნე ხშირად გაჭირვებაში ვარდება ხოლმე. ამ გაჭირვებაში ჩავარდნას ორი უმთავრესი მიზეზი აქვს: დააკლდა მაგ. მიწათ-მოქმედს ფული მუშების დასაჭერათ, არხის გასაყვანად, კარგის თესლის სასყიდლათ და სხვ. — აი ერთგვარი მიზეზები მეურნის გაჭირებისა: გაჩნდა ყანაში ცეცხლი, მავნე მწერი, მოვიდა სეტყვა და სხვ. აი მეორე გვარი მიზეზები. პირველმა მიზეზებმა გამოიწვიეს სამეურნეო კრედიტის დაარსება, ხოლო მეორემ-კი სამეურნეო დამზღვევი საზოგადოებანი.

წინა წერილში გვქონდა ნათქვამი, რომ სადაც მეურნეობას ეს ორი მიმშველი იარაღი ხელთ ახლავს—იქ მეურნეობა სწორედ რომ სასურველ ნიადაგზედ არის დამყარებული და კარგი მომავალიც მოელის იქ მას, და სადაც ეს არ არის, კეთილ გონიერება ითხოვს, რომ იქაც ეს ორი იარაღი გაიჩინონ. ჩვენ გვაქვს სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებანი—სახელდობრ სათავად-აზნაურო ბანკები. აქ არ ვიტყვით არასფერს იმაზედ—როგორ ვხმარობთ ამ კრედიტს, შეიძლება თუ არა იმისი უფრო კარგად მოხმარება, ან შესაძლებელია თუ არა თვით ეს დაწესებულება ისე შეცვლილ იქმნას, რომ მეტი სარგებლობა მოგვიტანოს? ამის შესახებ იქმნება, შემდეგში ვსთქვათ რამე, და ეხლა-კი საჭიროდა ვრაცხთ მოკლედ აღვნიშნოთ ის, რომ ჩვენში დაარსებულნი საკრედიტო დაწესებულებანი სამართლიანად უნდა ჩაითვალონ მეურნეობისთვის სასარგებლო დაწესებულებათ. მაშასადამე, ხელთა გვქონია კიდეც—ერთ-ერთი იარაღი მეურნეობის გაუმჯობესებისა.

ჩვენ გვგონია, რომ დრო დაგვიდგა მეორე იარაღის შეძენისთვისაც. საჭიროა საკრედიტო დაწესებულებას გვერდით სამეურნეო დამზღვეველი დაწესებულებაც ამოვუყენოთ. თუ-კი ბანკების დაარსების სარგებლობა შევიგნეთ—დამზღვეველ დაწესებულების სარგებლობასაც შევიგნებთ; რაკი ბანკის დაარსება შევიძელით—უეჭველია, რომ დამზღვეველ დაწესებულების დაარსებასაც შევძლებთ. მხოლოდ საჭიროა ამ ახალ საქმეში ისევე მოვიქცეთ და ძალ-ღონე იმ გვარადვე მოვიკრიბოთ—როგორც ეს ძველი საქმის დაარსების დროს მოვახერხეთ. მაგრამ საიდგან და როგორ?

სადაც-კი მოქმედობენ ეხლა სამეურნეო დამზღვეველი საზოგადოებანი (ჩვენ სახეში ამ ჟამად სეტყვისაგან დამზღვეველი საზოგადოება გვყავს) ყველგან მათი დაარსება იკისრეს ან სახელმწიფომ, ან საურთიერთო და ან სააქციონერო საზოგადოებებმა. რაღა თქმა უნდა, რომ ყველაზედ უფრო სასურველი სახელმწიფოს დახმარება არის; ყველაზედ არა სასურველი-კი სააქციონერო საზოგადოებისა. პირველ შემთხვევაში დაზღვევა უფრო იაფადა ჯდება და უფრო სანდო არის—ხოლო მეორე შემთხვევაში-კი ეს დახმარება უფრო ძვირად უჯდებათ. საურთიერთო საზოგადოებას სიიაფითაც და ნდობითაც შუა ადგილი უჭირავს ზემოხსენებულ დაწესებულებათა შორის. ჩვენში-კი ამ საურთიერთო საზოგადოების დახმარებით შეიძლება, მხოლოდ სამეურნეო დამზღვეველ დაწესებულების წინ წაძღოლა და ჩვენის აზრით ამ საზოგადოების წევრებად საქართველოს ყველა მემამულე უნდა იყვნენ. ამ წევრთ ორი მოვალეობა ედებათ კისრად—წინადვე გამოანგარიშებული წლიური გარდასახადი (ეს გარდასახადი მით უფრო მცირე იქმნება, რაც მეტი იქმნება რიცხვი წევრებისა) და ერთმანერთის თავდებობა. იქმნება ზოგს ძნელადაც ეჩვენოს ეს ორი გარემოება—მაგრამ რაკი გავიხსენებთ, რომ ამ ორის გარემოების მეოხებით მეურნეს შეუძლია უზრუნველი შეიქნეს, რადგანაც დასეტყვილს ის საზოგადოება უზღვევს, რომლის წევრად არის. რაკი ეს ასეა—ძნელად არავის უნდა ეჩვენოს ეგ პირობები. აქ არც ადგილი გვაძლევს ნებას და არც განზრახვა გვაქვს დაწვრილებით მოვუყვეთ მკითხველს, თუ როგორ უნდა შესდგეს სეტყვისაგან დამზღვეველი საზოგადოება, გადასახადი როგორ უნდა დანაწილდეს და სხვ. ამ ნაირი არა არსებითნი გარემოებანი ადვილად მოსაფიქრებელნიც და უკვე დადგენილნიც არიან სხვაგან—ჩვენ გადმოღების მეტი იქმნება არა დაგვჭირდეს რა. სულ სხვა დაბრკოლება არის ზემოხსენებული საზოგადოების დასაარსებლად. თუ ამ დაბრკოლებას ვსძლიეთ როგორმე—მაშინ საქმის დამთავრებაც გაადვილდება.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული სეტყვისაგან დამზღვეველ საზოგადოებაში გარდასახადი ცვალებადია. ერთს წელს მეტია, მეორეს ნაკლები. ზარალიან წელიწადს, როდესაც სეტყვა მეტად მრისხანებს, ხანდახან ისე მოხდება ხოლმე—რომ საზოგადოებას კასსის ფული ზარალის გასაძღოლად არა ჰყოფნის. ამ შემთხვევაში საზოგადოებას ისეთი კაპიტალი უნდა ჰქონდეს, რომელის შემწეობით ოპერაციები გასაჭირშიაც არ გაუძნელდეს. ამ კაპიტალის ქონება აუცილებელი საჭირო არის, უიმისოთ საქმის დაწყება შეუძლებელია. თუ საქართველოში გვინდა დამზღვე-

# ფელეტონი

### მეთვალყურის შენიშვნა

(წერილი მეოთხე)

მანდილოსნების წერილების შესახებ,—ქართველი ქალები,—დამცველნი ეროვნებისა და დედა-ენისა.—ქ-ნ მ. საგინაშვილის საფუძვლიანი და სამართლიანი შენიშვნა;—ძველი და ახალი მანდილოსნები.

მშვენიერის სქესის შესახებ დაბეჭდილმა წერილებმა მეც საღერღელი ამიშალა, მეც დამაფიქრა იმ საგანმა, რომელიც აღძრა ბ-ნმა ჩიორამ თავისს პირველს წერილში. უეჭველია ჩემთან ერთად ეს საგანი დააფიქრებდა ყველა ჩვენის ცხოვრების მეთვალყურეს, ვისაც-კი ნათლად აქვს წარმოდგენილი ის უტყუარი ჭეშმარიტება, თუ რა დიდი გავლენა აქვს საზოგადოდ მანდილოსნებს ყოველ გვარ საზოგადო საქმეებსა და კერძოდ მომავალ თაობათა გონივრულს აღზრდაზედ, ეროვნულ ნიადაგზედ აღმოცენებულ კანონებისამებრ, ოჯახებში, რომელიც უმეტეს ნაწილად დიასახლისის ხელშია.

დღეს ყველამ იცის ის ჭეშმარიტება, რომელიც ამოს კომენსკის შემდეგ ყველგან ცნობილი შეიქმნა, რომ ბავშვის აღზრდა დაბადების დღიდგანვე იწყება და იმათი პირველი აღმზრდელებიც მშობლები არიან. ბავშვობის დროს ზედ-მოქმედებანი, ჩვეულებანი, ზნე და ხასიათი რჩება ადამიანს მთელ თავისს სიცოცხლეში და დიდი გავლენა აქვს იმისს მომავალს ცხოვრებაზედ. თუ თავიდგანვე სახლობა ანუ ოჯახი არა სცდილობს ჩაჰნერგოს ბავშვის სულში თესლი მომავალის წარმატებისა, რომელიც მხოლოდ დედა-ენის საშუალებით არის შესაძლებელი, ყოველთვის მოსალოდნელია, რომ ამ ნაირად აღზრდილი ბავშვი ბოლოს ჰკუით სუსტი და საზოგადოების უსარგებლო წევრი გამოვა. ოჯახს გარდა, ყმაწვილების აღზრდაში დიდი გავლენა აქვს სასწავლებელსაც, მაგრამ ეხლანდელს დროში ჩვენი ეროვნულ თვისებათა დასაცველად ჩვენებური სკოლები შესაფერისს სარგებლობას ვერ იძლევა, რადგანაც სკოლასა და ოჯახს შორის საჭირო კავშირი არა არსებობს, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო დაშორებულნი არიან ერთმანეთს; ოჯახი-კი, ეს ქვაკუთხედი ერის სიმტკიცისა და წარმატებისა, ჩვენ ხელთ არის, სადაც ყოველ გვარი უფლება გვაქვს ჩვენს საქმეს ჩვენვე წარვუძღვეთ სინიდისიანად. განა ყველა განათლებული ქართველი ოჯახი ასრულებს თავისს მოვალეობას სინიდისისა და სამშობლოს წინაშე შეუბღალავად? სამწუხაროდ, დღეს ბევრს ქართველ ოჯახში შეჰნიშნავთ ქართულის ენის აბუჩად აგდებას, გაძევებას, არა მარტო იმისთანა ოჯახში, სადაც ერთი რომელიმე წევრი ოჯახისა უცხო ტომისაა, არამედ იქაც-კი, სადაც დედაც ქართველია და მამაც — შვილი-კი ღმერთმა უწყის ვინ არის; დედა აკვანშივე „ნანას“ მაგიერ „баюшки баю“-ს უმღერის თავისს მომავალს იმედს; ბავშვი რომ ცოტა წამოჩიტდება, ენას აიბამს—მშობლები მხიარულობენ, როცა იმათ კითხვაზედ ბავშვი მიუგებს—„Я гузинъ“-ო.

დიაღ, ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ცოტა არ არის, უმეტესად ქალაქებში, ისეთი ოჯახი, რომელსაც არა ერთხელ გაუგონია ჩვენის საყვარელის პოეტის საგულისხმიერო სიტყვები:

გადაგვარების მოსურნე ბუნებისა-
გან კრულია!
მისი პირადი ღირსება ყოველგან და-
ჩაგრულია!

მაგრამ ამ სიტყვების აზრი იმათ გულს არ მოხვედრია, იმათს ძვალ-რბილში არ გამჯდარა იმისი მნიშვნელობა, რა შედეგი მოსდევს გადაგვარებას. პირ-იქით, ზოგი იმის დამტკიცების ცდაშიც არის, რომ ჯერ უცხო ენა უნდა ასწავლო და მერე დედა-ენაო. აი ამისი მაგალითი: ერთს განათლებულს ოჯახში, სადაც მამაც ქართველია და დედაც (შვილმა ქართული არ იცის) ვიკითხე, რისთვის დაგიმახინჯებიათ ეს ბავშვი, დედა-ენა რატომ არ გისწავლებიათ მეთქი?—მიპასუხეს: „მე თვითონ მახსოვს, როგორ მიჭირდა სიტყვების გამოთქმა კანონიერად, როდესაც უცხო ენას მასწავლიდენ, ამიტომ მინდა, რომ ჩემი შვილი მაინც ასცდეს, იმ გაჭირებას; ქართულს ისეც მალე ისწავლის, ახლაც იცის. Иди — Ваня сюда! Какъ погрузински носъ? — ცხვირი. — уши? ყური. აი მიეჩვევა აგრე და ისწავლისო.

დედებს რომ დიდი შეძლება აქვთ ოჯახში დედა-ენა დაიცვან ფაქიზად, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ ზოგმა ქართველმა ქალებმა, თუმცა უცხო ტომის ქმარი ჰყავდათ, მაგრამ თავიანთს შვილებს დედა-ენა არ დაუკარგეს, ყმაწვილობიდგანვე ქართულ ენაში, ე. ი. დედა-ენაში გავარჯიშებულნი რუს-იმერლები, ვოლსკები და მაიაშვილები დღეს ქართულ მწერლობაშიაც სახელ-განთქმულები არიან. როდესაც თითონ მშობლები არ არიან გამსჭვალულნი მამულიშვილურის გრძნობით, როდესაც იმათ უფრო თავიანთის ქუჩის საქმეები აწუხებთ, ვიდრე სამშობლოს ისტორია და გეოგრაფია, რომელთაც სკოლის კარები გამოკეტილი აქვთ, რასაკვირველია, მოზარდის თაობის წესიერად აღზრდის ფიქრიც არავის მოუვა. განა შესაძლებელია ჩვენ მიერ თვით შეგნება და ეროვნულის გრძნობის განმტკიცება სამშობლო ისტორიისა და გეოგრაფიის შეუსწავლებლად. ყველას კარგად ესმის წარსულის ისტორიის მნიშვნელობა ხალხისათვის და ამიტომ ყველა ოდნავ განათლებული ერი სცდილობს შეისწავლოს თავისი წარსული, შეიგნოს თავისი საკუთარი ღირსება, ნაკლულევანება, განმტკიცდეს ეროვნულის გრძნობით და განძლიერდეს ხალხის თვით-ცნობიერებით. ბევრი ჩვენი განათლებული მშობლები სრულიად არა ჰფიქრობენ, რომ ჩაუნერგონ გულში თავიანთს შვილებს გრძნობა მამულიშვილისა და ყოველისავე მშობლიურის სიყვარულისა,

ველი საზოგადოება გავიჩინოთ, სულ პირველად ამ კაპიტალის ძიებას უნდა შევუდგეთ. მაგრამ საიდგან, რა გვაქვს, რა გვაბადია —რომ ეგ საჭირო კაპიტალი გავიჩინოთ???—ჩვენ გვგონია, რომ გვაქვს ღონისძიება ეგ კაპიტალი ვიქონიოთ. როდესაც ამას ვამბობთ—სახეში ერთი რამ ისეთი საზოგადო თანხა გვაქვს, რომელიც აგერ 10 წელიწადზედ მეტია ხელთა გვაქვს და ისე უთავბოლოდ-კი ვხარჯავთ მას და ისე უსარგებლოდაც, რომ დრო არის იმ თანხას უფრო შესაფერი დანიშნულება მივცეთ.

ჩვენის ბანკების წესდების ძალით ყოველ წელს მოგებიდგან 5% ესრედ წოდებული საექსტრაორდინარო კაპიტალის შესადგენად გადაიდება ხოლმე. დიდი აზრი აქვს ამ კაპიტალის დაფუძნებას: მეურნეს გაჭირებაში შველა მისცეს. საექსტრაორდინარო კაპიტალის ქონება სანატრელია ყოველ სამეურნეო კრედიტის დაწესებულებისა! ეს კაპიტალი თავისს სამსახურს მით უფრო კარგად მოახერხებს, რაც უფრო კარგ ზომაზედ არის დაჯენებული მისი ხარჯვა. ჩვენ გვგონია, რომ უკეთესად ვერ მოვიხმარდით ამ კაპიტალს, თუ სეტყვისაგან დასაზღვევ საზოგადოებაში გარდავცემდით. ამისთვის საჭირო იქმნებოდა რამდენიმე წელიწადი არ შევხებოდით მას და როდესაც საკმაო თანხა შესდგებოდა, მხოლოდ მაშინ დაგვეწყო მისი ხარჯვა ზემოხსენებული საზოგადოების საშველად. აქამდინაც რომ არ შევხებოდით ამ კაპიტალს—ეხლა კარგა დიდი ფული გვექმნებოდა.

რა-კი ბანკი ვახსენეთ—იქმნება ზოგს ეგონოს, რომ ჩვენ ბანკებს ერთ ახალ ოპერაციას კიდევ ვურჩენდეთ. არა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრზე, ჩვენ ვიცით, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო ბანკების საქმეში, თუ ვახსენეთ ექსტრაორდინარი კაპიტალი ეს იმიტომ, რომ იგი განცალკევებულია ბანკის სხვა კაპიტალებისაგან და მისი ასე თუ ისე ხარჯვა არავითარ გავლენას არ იქონიებს არც გირავნობის ფურცლებზედ და არც ბაზარზე.

ერთი კია, რომ ბევრი ხანი მოგვინდება ვუცადოთ მანამ ექსტრაორდინარი კაპიტალიდან შესდგება რამე თანხა (წრეულს ამ კაპიტალში მგონი 10,000 მანეთამდე იყო ტფ. სათავად აზნაურო ბანკში).—ამისთვის მოთმინება არის საჭირო. ის მოთმინება, რომელსაც არა ერთხელ გამოუყვანია საქართველო გაჭირებიდან. ამ მოთმინების მეოხებით ცოცხალ არს დღეს კიდევ საქართველო, მაშინ როდესაც მრავალი ერი და სახემწიფო აღიგვენ დედამიწის ზურგიდგან. მოთმინება ბევრს სიკეთეს კიდევ მოგვიტანს ჩვენ და ესევე მოთმინება შეგვაძლებინებს დავიწესოთ სამეურნეო დამზღვეველი საზოგადოება, რომელიც ისევე საჭირო არის, როგორც საჭიროა მეურნეობის წარმატებისათვის სამეურნეო კრედიტი. მხოლოდ იქ იხეირებს მეურნეობა, სადაც ეს ორი დაწესებულება ერთად არსებობს.

— ლი—გ.

# ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობას განუზრახავს ტფილისში განსვენებულ დიდ მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულს ძეგლი დაუდგას.

*** ამ წელს, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში წლიური აქტი არ იქნება გამართული ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მესამის გარდაცვლისა გამო. მოსწავლეებს კარგ სწავლა და ყოფა-ქცევისთვის საჩუქრებს საშობაოდ დაურიგებენ.

ამას გარდა ჩვენ შევიტყეთ, რომ გიმნაზია გაზაფხულზე აპირობს თავისს საკუთარს სადგომში გადასვლას. გაზაფხულზედვე შეუდგებიან წყლისპირა ქუჩაზედ ახალის შენობის აშენებას გიმნაზიისთვის და სამკურნალოსთვის. ამისათვის სახელმწიფო საბჭოს ნება დაურთვია ხაზინიდგან თოთხმეტის ათასის თუმნის მიცემისა.

*** ამ უკანასკნელს დროში ტფილისშიაც გავრცელდა ხალხის სიცოცხლის დაზღვევა სხვა-და-სხვა უბედურებისაგან. ეხლა არა მარტო კერძო კაცნი იზღვევენ თავს უბედურებისაგან, არამედ დიდ ქარხნების პატრონებიც-კი აზღვევენ თავიანთ მომუშავებს. ამ ახლოს ხანში სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოება „როსსიაში“ დააზღვიეს თავიანთ მომუშავენი დიდ ქარხანის პატრონებმა ტოლლემ, ადელხანოვმა, სარაჯევმა და სხვ. ამ დღეებში კიდევ დააზღვია ამ საზოგადოებაში თავისს მომუშავენი ბოჟიპრომისლის თევზის მწარმოებლის პატრონმა ბ-მა პაპოვმა თავისის ხარჯით. თუ ვინმე დაზღვეულ მომუშავეთა უბედურებისა გამო ავადგახდა, საზოგადოება „როსსია“ თავისის ხარჯით ექიმს დაუჭერს და ყოველ დღე მისცემს ნახევარ დღიურ შემოსავალს; ხოლო თუ რაიმე უბედურებისა გამო იმათგან ვინმე გარდაიცვალა, მაშინ გარდაცვლილის სახლობას საზოგადოება აძლევს პენსიას სიკვდილამდე.

*** 15 დეკემბრიდგან ტფილისის სამოსამართლო პალატა და ოლქის სასამართლო მირიმანოვის სახლებიდგან ახალ შენობაში გადადის, ძველ არსენალის ქუჩაზედ. ახალს შენობაში გაყვანილია ტელეფონები, რომლებიც სხვა-და-სხვა სასამართლოების კანცელარიებთან აერთებს.

*** ამ დღეებში გზათა მინისტრის ნება-დართვით კავკასიის რკინის გზის ინჟენრები შეუდგნენ ყარსის რკინის გზის გასაყვანად ნავთლუხის ქვემოდ მტკვარზედ ხიდის აშენებას. ამ ხიდს სიგრძე 40 საჟენი ექმნება და ხარჯთ-აღრიცხვით ხაზინას 138 ათასი მან. დაუჯდება. გაზაფხულიდგან-კი შეუდგებიან თვით ყარსისა და ერევნის რკინის გზის ლიანდაგის გაკეთებას. ყარსის რკინის გზის შტოს სადგურ ნავთლუხიდგან გაიყვანენ ახალ ხიდზედ, რომელიც სოღანლუღზედ გამოვა, შემოუვლის კუმისის ტბას და გაივლის სოფლებ ემირსა და სადახლოზედ. აქედგან დებედჩაის ხეობით გავა გზა სოფელ კარაკლისზედ, გაივლის ჯანჯურის მთას და მივა გუმბრში. გუმბრიდგან სოფ. დაგერლამდე ერთი გზა იქნება და აქედგან-კი ერთი რკინის გზის შტო გავა სოფ. სპასოვკა და გარელოვკაზე—ყარსში და მეორე შტო-კი—სოფ. ყიზილ-ყილისა, მასტარსა, სარდარაბადსა და ეჩმიაძინზე—ერევანში. ყარსის რკინის გზას სულ 419 ვერსის მანძილი ექნება. ამ გზაზედ სულ 15 გვირაბი იქნება გამართული. ყველაზედ დიდს გვირაბს ერთი ვერსი და 380 საჟენი სიგრძე ექნება. ამ გზის გაკეთებისთვის ხაზინას გადაუდვია 27 მილიონი მანეთი. ამ გზის გაყვანისა გამო ბორჯომის რკინის გზის შტო დროებით შეყენებული იქნება და დროებითვე არ განაგრძობენ ახალციხემდე გაყვანას. ყარსის რკინის გზის გაყვანის უფროს ინჟენერად და გამგებლად დანიშნულია კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი პუშეჩნიკოვი.

*** დღიურის თავშესაფარის „ბაგის“ კურთხევამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო დაიგვიანა. გუშინ-კი ნაშუადღევის ორ საათზედ აკურთხეს ეს თავშესაფარი (წყნეთის ქუჩა, სახლი წითლიევისა). ბავშვების მიღება-კი დღეიდგან დაიწყება. საჭიროდ დავინახეთ თავშესაფარის წესდების რამდენიმე მუხლი აღვნიშნოთ.

§ 1. საზოგადოებას აზრადა აქვს თვალ-ყური უდგოს და მოუაროს ტფილისის ღარიბ, ნამეტნავად მუშათა, ორთავე სქესის ბავშვებს, იმ დროს როდესაც იმათი დედმამა სახლს გარედ მუშაობენ.

§ 3. თავშესაფარში 6 თვიდგან 7 წლის ბავშვები მიიღებიან.

§ 4. ბავშვები თავშესაფარში მიიღებიან დილით, იმ დროს, როდესაც მათი დედ მამა სამუშაოზე გადიან და მთელი დღე იქა რჩებიან. საღამოს 8 საათზედ-კი დედ-მამამ ანუ ნათესავებმა უთუოდ უნდა მოიკითხონ თავისი ბავშვი.

§ 10. ნამდვილი წევრები ყოველ წელიწადს 5 მანეთს იხდიან, ანუ ერთად 100 მანეთს.

დროებითი მმართველობა თავშესაფარისა (სერგიევის ქუჩა № 5) მიიღებს ყოველგვარს შეწირულებას: მასალას, მომზადებულს ნივთებს და სათამაშოებს. შემოწირულება შეიძლება გაეგზავნოს თავშესაფარის „ბაგის“ ყურისმგდებელს—ქალს ზემოდ აღნიშნულის ადრესით. («კავკაზი»).

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი გუშინ, 13 დეკემბერს, აბასთუმანს წავიდა.

*** გუდაუთი. გუდაუთის ნაწილი აპირებს თავისი სამ-კლასიანი სამეურნეო სასწავლებელი დააარსოს სახელოსნო განყოფილებით. ბ-ნ სოხუმის ოლქის უფროსისა და გუდაუთის უფროსის ბ-ნ ჩიქოვანის მეცადინეობით სოფლის საზოგადოებებმა უკვე შეადგინეს განაჩენები, რომლის ძალითაც გლეხობამ თითო მოსახლეზედ გაიწერა ათ-ათი შაური, თავად-აზნაურობამ-კი—თითო მანეთი. სრული იმედი გვაქვს, რომ ბატონი ჩიქოვანი თავისის მეცადინეობით დააბოლოვებს ამ საშვილიშვილო საქმეს, რის გულისთვისაც დიდად მადლობელი იქნება საზოგადოება.

---

რაც ძვირფასია ყველასათვის. რა გასაკვირველი იქნება ამის შემდეგ, რომ თავისის ერის წარსული ისტორიისა და გეოგრაფიის უმეცარი მოზარდი თაობა არ შეიქმნეს თავისის მამულის ჭეშმარიტი შვილი; რა გასაკვირველი იქნება ამის შემდეგ, რომ თავისის ერის უვიცობასა და დედა-ენის უარ-ყოფაში აღზრდილი ახალი თაობა გულს იცრუებდეს ყოველსავე მშობლიურსა, ნათესავებსა და დედ-მამაზედ და მათ შორის, სიყვარულის ნაცვლად, სიძულილსა სთესავდეს. არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენი ეხლანდელი დედები შეძლებისა-და გვარად მიაქცევდნენ ყურადღებას შვილების დედა-ენაში გაწვრთნას და ქ-ნ მ. საგინაშვილის სამართლიან შენიშვნას ყურად იღებდნენ, რომ უმრავლესობა ჩვენის განათლებულის დედებისა ამ საქმეს არ აქცევს ჯეროვან ყურადღებასაო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომელიც დღეს არავითარს დამამტკიცებელს საბუთს არ ითხოვს.

დედა-ენის გადაცემა შთამომავლობაზედ პირველად დედის საქმეა, ამას ბუნების კანონი ითხოვს, დედა-თავის ძუძუსთან უნდა აწოვებდეს ბავშს დედა-ენის სიტკბოებასაც, დედა-ენის სულიერ სიცოცხლესაც, მისდამი სიყვარულს, რომ მთელის სულისა და გულის ენით ბავშვს შეეძლოს თამამად, თავისუფლადა სთქვას:

„მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,
რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა,
ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა
ჩემის ტოლების მღერა-ჟღივილსა!
ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა“,
მიყვარს სამშობლო მე დედა-ენა!“ —

პირიქით, თუ მშობლები თავიდგანვე არა სცდილობენ შვილების ბუნების კანონების მიხედვით აღზრდას ეროვნულს ნიადაგზედ, იმათი შვილი, როგორც გამხმარი შტო, მოსწყდება თავისს მშობელს ხეს, ხოლო უდიდებულესი გენიოსი შექსპირი ამბობს: „შტო, რომელიც მოსტყდეს თავისს მშობელსა ხესა, დასჭკნეს და გახმეს, ჯოჯოხეთის ცეცხლს შეეკეთოს.“

ერთი მეტად კეთილი თვისება ჩვენის ძველის დედებისა ის იყო, რომ რაც უნდა გაჭირება ენახათ, რაც უნდა ბევრს შავს და ავს დროს შესწრობოდნენ, ყოველთვის სულითა და გულით ქართველად დარჩენილან და, რაც შეეხებოდა შვილების აღზრდას, ნამდვილ ცხოვრების შესაფერად ჰზრდიდნენ. წინად სამშობლოს დასაცველად ვეშაპის მტრებისაგან გმირნი მამული-შვილნი იყვნენ საჭირონი, მაგრამ განა ამათი სიმცირე იყო როდისმე? განა ერთი-და იყო იმის მაგალითი, რომ დედა თავისს ერთად-ერთ იმედსაც და ნუგეშსაც-კი სწირავდა სამშობლოს ბედნიერებისათვის, მამულის გამოსახსნელად, რომელიც შვილზედაც უფრო საყვარელია. დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილება სულ სხვაა და მისი დაკმაყოფილებაც შვილის აღზრდის საქმეში უნდა შეადგენდეს დედის ერთს მოვალეობათაგანს.

როგორც საზოგადო მოღვაწენი, საქველ-მოქმედო საქმის მოთავენი, მცირედ რიცხვს გარდა ეხლანდელი მანდილოსნები თავს ვერ იქებენ. ერთმა მეცნიერმა სთქვა: «დედანი ვერ მოიგებენ ისეთს სამკაულს, რომ იმდენად დაიმშვენონ თავი, რამდენადაც სათნოება დაამშვენებსო». ეს აზრი რომ გავიმძღვაროთ წინ და დავაკვირდეთ ეხლანდელ მანდილოსნების ადამიანურს ეროვნობას, კეთილშობილს მისწრაფებას და დამჯდარს ხასიათს, როგორც მანდილოსანთა სიმცირეს, აგრეთვე უმეტესობის უნდილობას, შევნიშნავთ როგორც სამართლიანად შენიშნა ერთმა ჩვენმა მოღვაწემ—„წამიერი ზედ-გავლენა იმათ ისე ათამაშებს, როგორც ქარი ბურბუშელას“.—ვსთქვათ სადმე დაბებში, ანუ მივარდნილ ქალაქებში საქველმოქმედო აზრით წარმოდგენის გამართვას აპირებენ. როცა როლის არჩევანზედ მიდგება საქმე, ერთი ქალბატონი უარს განაცხადებს, მე სცენაზედ ვერ გამოვალ, თუ ის არ გამოვა, მე რაღა ნაკლები ვარ მაგაზეო; არც მე გამოვალო, ამბობს მეორე. ამნაირად, ის საქველმოქმედო საქმე, რომელსაც წინად ყველა თანაგრძნობით ეკიდებოდა, იშლება სამუდამოდ. ხშირად გაიგონებ გაზეთებიდგან ან ისე კერძოდ, ქალებმა ეს და ეს საქმე გამოიწყესო, კეთილი და პატიოსანიო იფიქრებ. ცოტა ხნის შემდეგ გაიგებთ, რომ საქმის მეთაურებს უსიამოვნება, უთანხმოება მოსვლიათ ერთმანეთში და საქმე ჩაშლილა და ან ისე მიდის, რომ რაღაა მისი არსებობა! რით აიხსნება ამგვარი გარემოება, თუ არა ხასიათის სისუსტით; ვისაც ხალისი აქვს რისამე გაკეთებისა, იმას სულის სიძლიერეც უნდა შესწევდეს; ვისაც დიოგენის ფანარი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს. საზოგადო საქმეში ქალებს ავიწყდებათ ერთი ძველი ბრძნული თქმულება:

„მეგობარი ბევრი უნდა
თანამძრახი ერთი ოდენ;
საქმეს კარგად გაიმართვენ
თუ ჭკვა ორთავ სწორად ჰრბოდენ“.

თუ ჩვენი ნასწავლი ქალობა საზოგადო საქმეებში მოღვაწეობის დროს თავისს მცირედ პატივ-მყვარეობას დიდს ყურადღებას არ მიაქცევს, თუ ხშირად, უკეთუ გარემოება მოითხოვს, საზოგადო კეთილს საქმეს ანაცვალებს კერძო ინტერესებსაც-კი, თუ ყველა ქართველი ქალი შეძლების დაგვარად განიმსჭვალება (რომანების კითხვა-კი არა) საზოგადო კეთილის საქმის სიყვარულით და ამ გვარ საქმეებში უფრო მეტს მხნეობას გამოიჩენს ვიდრე დღემდის გამოუჩენია, ამაზედ უკეთესს ვერაფერს იფიქრებს ჩვენი ბევრად უნუგეშო მდგომარეობის გულ-შემატკივარი; ამის შემდეგ ჩვენის ქალების შესახებ არ ითქმება დიდროსს სიტყვები: „როცა ქალის შესახებ ლაპარაკი გსურს, კალამი ცისსარტყელაში ამოავლე და პეპლის ფრთები ზედ დააბერტყეო“. როდესაც დღევანდელი ჩვენის ცხოვრების მეთვალყურე დაინახავს ეხლანდელ ქართველ დედათა სქესის სულითა და გულით ქართველობას, ბარათაშვილსავით გულის ტკენით დაღონებული არ იტყვის:

«ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო!
რა იქმნებოდა, რომ ჩვენთა დედათ,
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ.

Jgnotus.

ქ. გაუჯი-ყაუ.

*** სოფ. სტეფანწმინდა (საქართვ. სამხედრო გზა). რაც დუშეთის მაზრის ექიმმა ბ-მა იულსკიმ აქ სნეულები დაათვალიერა და წავიდა ისევ დუშეთში, მას აქეთ სრული 13 დღე არის—ამ ხნის განმავლობაში ხოლერამ ანუ ხოლერის მსგავსმა სნეულებამ (როგორც მან აღიარა) კიდევ იმსხვერპლა 4 კაცი: სახელდობრ: კუზმა ქირიკაშვილის ბიჭი, სვიმონა, თოლიკაშვილის ქალი, პავლე ღუდუშაურის ქალი და გიორგი ღუდუშაურის ასული. სნენით ავად არიან კიდევ 30-მდე სული ორივე სქესისა. ყველა სნეულები ბედის ანაბარად არიან დატოვებულნი. საჭიროა შველა ვისაც გული შესტკივა! „აქ მე და ბოსტანს ოლოლიო". ანდაზისა არ იყოს, დუშეთს ექიმია და აქ ამ მდგომარეობაში ხალხი, შუა მანძილია 104 ვერსი, და რა უნდა გვეშველოს?!

## ნაწყვეტები

გმადლობ, ტურფავ, რომ მიგზავნი
გულის ამონაკვნესებს,
სიყვარულის მარგალიტებს,
მაღალ-გრძნობის ნაკვესებს,..
შეკრებავ და მეც მოგიძღვნი
ჩემის გულის ნაწყვეტებსა,
ქვეყნის ტანჯვა-სიხარულით
ანატირს და ნამღერებს.

დ. მაჩხანელი

## კავკავის ქართველობის კრება

კვირას, 4 დეკემბერს, 13 ნოემბრის კრების გარდაწყვეტილებისამებრ, კავკავის ქართველთა სასწავლებლის დარბაზში ქართველთაა საზოგადო კრება იყო. საზოგადოება წინანდებრ, ბევრი დაესწრო, რაც დიდად სასიამოვნოა, სჩანს კავკავის ქართველებს შეუგნიათ მნიშვნელობა საზოგადო საქმისა და გულ-მხურვალედ ეკიდებიან. კრების დასაწყისში თავმჯდომარემ ბ. პაპოვმა სთხოვა კრებას ფეხზედ ადგომით პატივი ეცათ ერთის ცოტად თუ ბევრად სკოლის საქმის გულშემატკივარ ქართველისთვის ბ-ნ ყაზბეგისათვის, რომელსაც დიდი შრომა მიუძღვის სკოლის აგებაშიო. საზოგადოებამ თანაგრძნობით მიიღო თავმჯდომარის წინადადება. ამის შემდეგ კომიტეტის მდივანმა ბ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა სია განსახილველ საქმეებისა, რომელიც დაადგინა 13 ნოემბრის კრებამ. ამასთანავე სთხოვა საზოგადოებას აღენიშნათ სახელი და გვარი იმათი, რომელთაც ჰსურდათ კომიტეტის წევრობა—„კომიტეტს უნდა შეადგენდეს ოცი კაცი და ათი ქალი. დღევანდელმა კრებამ მარტო კაცები უნდა ამოირჩიოს და ქალები-კი თითონ ქალებმა ამოირჩიონ იმ კრებაზედ, რომელიც კერძოდ იმათთვის იქნება დანიშნული". ამორჩეულ იქმნა ოცამდის კაცი.

ბ-მა კახიძემ წაიკითხა ანგარიში წარსულის წლის შემოსავალ-გასავლისა და სთხოვა კრებას, ამოერჩია სამი კაცი სარევიზიო კომისიის წევრად, რომელთაც უნდა შეემოწმებინათ ანგარიშები. ამორჩეულ იქმნენ: ლ. ხარაძე, ა. სარაჯოვი და ი. მოსულიშვილი.

ბოლოს ტ. კახიძემ მოახსენა კრებას, რომ თქვენის მინდობილებით ვიყავი მღვდელ-მთავართან საკვირაო ქადაგების და ეკკლესიის აშენების შესახებ მოსალაპარაკებლადაო. მღვდელ-მთავარმა კვირა-უქმეთა ქადაგების შესახებ განაცხადა თანხმობა და რაც შეეხება ეკკლესიას, სთქვა, გადაწყვეტით ვერას გეტყვით, რადგანაც ადვილი არ არის ეკკლესიის აშენება აქაურ ღარიბ ქართველობისათვის.

ნ. ფხაკაძემ სთქვა: „მე დამიბარა არქიელმა, მადლობა გამოუცხადა შარშანდელ ქადაგებისათვის და დაუმატა: „დიდად მოხარული ვარ, რომ საზოგადოებას მოუსურვებია ეგაო, სჩანს შეუგნიათ ქადაგების მნიშვნელობა და ამ სურვილს ნუ გაუცრუვებთო". ეკლესიის შესახებ-კი მითხრა, ვერ მოხერხდება ხალხის ხელ-მოკლეობის გამოვო. მაგრამ ეს არც ისე ძნელია, როგორც გვგონია. სადაც საერთო სურვილი და მეცადინეობა იქნება, იქ ყველა ადვილია. იფიქრეთ, ამოირჩიეთ ოთხი კაცი, მეხუთეც მე ვიქნები, ვთხოვოთ არქიელს დაგვთანხმდეს და დაგვრთოს ნება, რომ კანონისამებრ გავმართოთ ხელის მოწერა ფულის შესაგროვებლად".

ნათქვამია „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო", მართალია, საკუთარი ეკკლესია დიდი განძია ყველა ერისათვის, მაგრამ დღეს, როდესაც კავკავის ქართველობას სკოლის ნივთიერი მდგომარეობაც რიგიანად ვერ დაუკმაყოფილებია—უდროვოდ მიგვაჩნია. ამ საქმეს ჯერ-ჯერობით სხვანაირად მოევლება. სთხოვონ მღვდელ-მთავარს საკუთარი მღვდელი, რომელსაც ნება ექმნება ქართულად წირვა-ლოცვისა ძველ საკრებულო ტაძარში, რომელიც ყოველ კვირა-უქმე დღეს დილიდგან სალამომდე კარ-ჩაკეტილია. მე მგონი ამ აზრს უფრო უნდა თანაუგრძნონ კავკავის ქართველებმა.

დასასრულ იქვე გამართეს ხელის მოწერა, იმათ ვისაც რამდენის გამოღება შეუძლიან წლიურად სკოლის შესანახავად. 30-დის კაცმა მოაწერა ხელი, თვეში 2 მან.—12 მანათამდე გარდახდა იკისრეს.

კომიტეტმა გარდასწყვიტა საზოგადო კრება წელიწადში ერთხელ მოეხდინათ, მაგრამ, ჩემის აზრით, ემჯობინებოდა, რომ რამდეჯერმე ყოფილიყო ამისთანა კრება. ჯერ ერთი, ამისთანა კრების წყალობით საქმე უფრო კარგად წავიდოდა და მეორე ის, რომ ქართულს ენას გაივარჯიშებდნენ კრების წევრები, რომლებიც ძალიან მეცადინეობდნენ სხვაენის დაუხმარებლად ელაპარაკნათ, მაგრამ ძალიან უძნელდებოდათ.

მამსწრე

## რუსეთის ცხოვრება

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ დღეებში დასრულდა „სამელიორაციონო" სესხის პროექტი. ეს ახალი პროექტი ძირეულად განირჩევა იმ ამგვარისავე პროექტისაგან, რომელიც შემუშავებული იყო ამ ორის წლის წინად. ამ პროექტის ძალით სესხი გაიცემა 7—35 წლამდის. ნასესხის ფულის გარდახდა და სარგებლის ძლევა დაიწყება იმ დროიდგან, როდესაც შემოღებული განკარგება შემოსავალს მოიტანს. სამელიორაციო სესხის გამგეობა ჩაბარებული ექმნება იმ სამეურნეო კამიტეტებს, რომლებიც ახლო მომავალში უნდა შესდგნენ.

—

რკინის გზის აგენტებს ახალი ფორმა ეძლევათ: მუნდირი, შარვალი და პალტო შავის მაუდისა ექმნებათ.

—

მომავა ლ წელს სამეურნეო სამინისტროს განზრახვა აქვს—ერევნის გუბერნიაში მიწების მორწყვის საქმე დაიწყოს იმ ადგილებში, სადაც ბამბა მოდის. სამინისტროს ხარჯში ზოგიერთი მოსკოვის ვაჭრებიც მიუდგებიან. ამ ვაჭრებს უკვე აქვთ ერევნის გუბერნიაში ბამბის პლანტაციები.

—

რუსეთის ელჩი ბერლინში გრაფი შუვალოვი პეტერბურგს არის ამ ჟამად, სადაც, როგორც ამბობენ, დიდ თანამდებობას მიიღებსო.

გაზ. „Рус. Жиз". ერთ რუსეთის კორრესპონდეტს ორი მაგალითი მოჰყავს იმისი, რომ რუსეთის გლეხობაშიაც გაღვიძებულა ინტერესი და სიყვარული ყოველ დღიურ გაზეთის კითხვისა.

ამ გაზეთმა დიდის გულმოდგენებით იცის ხოლმე ყოველის სასიამოვნო ამბის აღნიშვნა და ზემო მოხსენებული ამბავიც რომ აღნიშნა-დაუმატა—ამიერიდგან გაზეთობას მრავალი მილიონი მკითხველი მიემატებაო და ეს უნდა ახსოვდეს მწერლობასაო. საქართველოში მრავალი მაგილითი ვიცით ისეთი, რომელნიც თვალ საჩინოდ გვიჩვენებენ, რომ ქართველი გლეხ-კაცი და დედა-კაცებიც დიდის ინტერესით და დიდის ნდობით ეკიდებიან ბეჭდურ სიტყვას საზოგადოდ და ყოველ დღიურ-გაზეთებს კერძოდ. რაღა თქმა უნდა, რომ ეს გარემოება კარგის მომასწავებელია და თუ ამ გლეხ-კაცობის გაწვრთნა-განთლება სასურველ გზაზედ წავიდა, როგორც შიდა რუსეთში ისე ჩვენშიაც, მაშინ სწორედ რომ სასიამოვნო მოვლინების მნახველნი და გამგონნი გავხდებით ყველა.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** კლემანსომ ცალკე წერილი უძღვნა ბურდოს, როგორც პარლამენტის პრეზიდენტს. „იგი იყო სახელმწიფო დასის ერთი შესანიშნავ კაცთაგანიო,—ამბობს უკიდურეს მემარცხენეთა წინამძღოლი,—და იმდენადვე განათლებული, რამდენადაც გაბედული მოწინააღმდეგე სოციალურ ცვლილებათაო. გულწრფელად ვესარჩლებით რა მას, რაც ჩვენის აზრით ჰეშმარიტებას შეადგენს, ჩვენ ჩვენთვის სასარგებლოდ არ მიგვაჩნია, რომ უნიჭო და შეუთანა ყალიბის კაცები გვყავდეს მოწინააღმდეგედ. საჭიროა, რომ დიდად სამართლიანი და ნაყოფიერი აზრიც-კი უთუოდ კრიტიკულად იყოს განხილული. საჭიროა უთუოდ, რომ აზრს მუდამ ჟამ შეეძლოს ატანა ყოველგვარ წინააღმდეგობისა, ვისგანაც უნდა იყოს იგი წარმომართული; მხოლოდ ამ პირობით შესძლებს აზრი, ყველას გონების დამორჩილებას, ამ გზით ეღირსება საერთოდ აღიარებას. აი ამისათვის არ შეგვიძლიან ჩვენი სინანული არ გამოვსთქვათ ბურდოსთანა გამოჩენილ მოწინააღმდეგეს გარდაცვალების გამო. მისი სიკვდილი დასაკლისია არა მარტო იმ დასისათვის, რომელსაც ის ეკუთვნოდა, არამედ მთელის საფრანგეთისათვის".

—

**გერმანია.** გერმანიის პარლამენტის კრებაზე შტუტგარტელმა დემოკრატმა პაიერმა წარმოსთქვა ფრიად სასიამოვნო სიტყვა კანცლერის ახალ პროექტის შესახებ ხარჯის მომატებაზე და სისხლის სამართლის გაძლიერებაზე სახელმწიფო დანაშაულობის შესახებ. ამ სიტყვას სიამოვნებით წაიკითხავენ არა მარტო პაიერის მეგობარნი, სამხრეთ გერმანელნი დემოკრატნი და ლიბერალნი, არამედ სიამოვნებით მიიღებენ თვით მაღალს წრეებშიაც.

როგორც იმ სიტყვაში, რომელიც ტახტზე ასვლის დროს იყო წარმოთქმული, აგრეთვე ჩვენ წინ წაკითხულს კანცლერის სიტყვაშიო, შეჰნიშნავს პაიერი, ბევრს კარგს სიტყვას შეჰხვდებით, მაგრამ ისინი ჩვენზე ვერ იქონიებენ შთაბეჭდილებას, რადგანაც კარგს სიტყვებს სრულებით არ ეთანხმება ამ გვარი მოქმედება, როგორცაა მოთხოვნა ახალის ხარჯების შემოღებისა და სახელმწიფო დანაშაულებზე სისხლის სამართლის გაძლიერებისა. სახელმწიფო უთუოდ თხოულობს ნდობასა, მაგრამ ვის შეიძლება დაენდოს ადამიანი, როდესაც ჩვენში დღეს ყოველივე ირყევა? ისინი, ვისაც ბისმარკის ნდობა ჰქონდათ, არ ესმოდათ, რისთვის გაჰშორდა ბისმარკი ისე უცბად საქმეებს. სხვანი უცქეროდნენ კაპრივს, როგორც პატიოსანს კაცს, მაგრამ ისინი არა ნაკლებ იყვნენ განცვიფრებულნი, როდესაც კანცლერმაც სრულიად გაუგებარ მიზეზის გამო მიანება თავი სამსახურს. მაშ ეხლა ვინ მოგვცემს იმის პირობას, რომ ამ მესამესაც იგივე არ დაემართება, რაც მის მოადგილეთა? „დიდი სამსახური გაგვიწია რიხტერმა,—ამბობს პაიერი, რომ მან აღძრა კითხვა იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც კაპრივიმ თავი დაანება სამსახურსა, და ამის წინ აღძრულს ბრძოლაზე პრუსიის სამინისტროში. თუ რომ ჩვენ ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ მივიღეთ, ეს იმიტომ, რომ მინისტრმა ბეტტიხერმა კატეგორიულად მაინც დაგვარწმუნა, რომ იქ არა ყოფილა-რა ნათქვამი სახელმწიფო ცვლილების შესახ ბ. რიხტერისა არ იყოს, მე არა მაქვს სურვილი მივითვისო უფლება გვირგვინისა მინისტრთა ამორჩევაში, დამტკიცებაში და მათ გადაყენებაში. და ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ განვაცხადოთ ჩვენი სურვილი, რომ მან ამ უფლებით რიგზედ ისარგებლოს".

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ინგლისის გაზეთი „Saturday Review" დიდის ქებით იხსენიებს ლორდის როზბერის პოლიტიკას და ამბობს, რომ

ლორდი როზბერი დიდის პატივის ღირსია, იმიტომ რომ იმან შექმნა ახალი ხანა ინგლისისა და რუსეთის ურთიერთობისა. დღე, თამამად იაროს იმ გზაზედ, რომელიც მან ამოირჩია და ნურავითარს ყურადღებას ნუ მიაქცევს ოსმალეთის მთავრობის მეგობრებს. ჩვენ თუ ოსმალეთს შემწეობა აღუთქვით, მარტო იმ პირობით, რომ საჭირო ცვლილებანი შემოეღო. გარნა ამ მხრით ოსმალეთს არაფერი გაუკეთებია, მაშასადამე, ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავკუწოთ მათთან ხელშეკრულობა, როგორც ისეთი საბუთის ქაღალდი, რომელმაც პირობის აუსრულებლობის გამო ყოველ გვარი უფლება დაჰკარგა. ჩვენ შეგვიძლიან პატიოსნად მოვიქცეთ და ოსმალეთს დავუბრუნოთ კუნძული კიპრისი, რომელიც ძვირად გვიზის, მაგრამ ჩვენთვის-კი უსარგებლოა. თანდა თან ინგლისელები რწმუნდებიან, რომ ოსმალეთის კეთილდღეობის საკუთხეველზედ ბევრი მსხვერპლი შევწირეთ. ამ ჟამად ყველა ამაზედ არის დაფიქრებული, რომ ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნება, რუსეთს სრული თავისუფლება მივანიჭოთ, რათა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და მცირე აზიაში ისე იმოქმედოს, როგორც იმასა ჰსურს.

შეიძლება, დადგა კიდეც ის დრო, რომ რუსეთს ნატვრა ავუსრულოთ, და ჩვენ, თუ ასე მოვიქეცით, მაშინ ინდოეთის განსაცდელში-კი არ ჩავაგდებთ, არამედ უფრო განვამტკიცებთ და მის ხელშეუხებლობას უზრუნველ ყოფილ ვყოფთ. მართალი იყვნენ თუ არა ჩვენი სახელმწიფო მოღვაწენი, როდესაც სტამბოლს ინდოეთის „გასაღებად" სთვლიდნენ, ამის გარჩევას არ შევუდგებით, მხოლოდ იმას-კი ვიტყვით, რომ ჩვენ არავითარი სარგებლობა არა გვქონია, როდესაც რუსეთს ხელს ვუშლიდით ეს „გასაღები" ჯიბეში ჩაედო ყველა დარწმუნებულია, რომ თუ საქმე ძველებურად დარჩა, მაშინ მცირე აზიაში რუსეთთან ბრძოლა მოგვიხდება. არის ერთად-ერთი საშუალება ამ ბრძოლის თავიდგან ასაცილებლად, თუ რუსეთს ნებას მივცემთ, რომ იმან სამხრეთისკენ, ზღვამდისინ იბატონოს, მაშინ ჩვენ სამაგიეროდ აზიაში ერთი-ასად ვიქმნებით დაჯილდოვებულნიო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

საზოგადოდ ყველა დიდს ქალაქებში დღემდის დიდად გაჭირვებული იყო ფასის დადება ეტლების მამოსვლაზე დროისა და მანძილის მიხედვით. ამ ოთხის წლის წინად სცადეს კიდეც ამ უხერხულობის თავიდგან აცდენა ტაქსამეტრის შემოღებით, მაგრამ ეს ტაქსამეტრი (ნიხრის მაჩვენებელი) ბევრი არაფრით დაეხმარა საზოგადოებას და მეეტლეები ისევ წინანდებურად ატყუებდნენ პატრონებსაცა და ეტლით მავალთაც. ამ ბოლო დროს გამოგონილ ტაქსმეტრმა-კი სრულიად მოსპო ეს უხერხულობა. მანქანა შესდგება ორი ციფირების დაფისაგან, რომელიც მიმაგრებულია მეეტლეს ზურგს უკან. ერთი იმათგანი, მარჯვნივ, წარმოადგენს საათს ისრით, რომელიც უჩვენებს დროს, რამდენი მოუნდომებია ეტლს ადამიანის ერთის ადგილიდამ მეორემდის გადაყვანისათვის და მეორე ამ დროს მიხედვით—ნიხრს. გარდა ამისა, ეტლს აქვს აგრეთვე იმის მაჩვენებელი ბაირაღიც, თავისუფალია, თუ არა ეტლი. ეს ბაირაღი, როგორც ჩაჯდება შიგ ადამიანი, დაიძლება და მაშინვე მოქმედებას დაიწყებს მანქანა, რომელიც აღნიშნავს ეტლში ჩაჯდომის დროს. გაშლილი ბაირაღივე უჩვენებს იმასაც, თუ ეტლი ვისმეს აქვს დაქირავებული. ამ გვარად მოწყობილი მანქანა, გარდა იმისა, რომ შეუძლებელს ჰყოფს ეტლით მავალთა მოტყუებასა, თვით ეტლების პატრონებიც მოგებაში არიან, რადგანაც მანქანა მთელის დღის მუშაობას და მის ღირებულ ფასსაც აჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი რედაქციის მიმართ

—

თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადს მადლობას უცხადებ მაჰმადიან ქართველებს: ჯივანალა გოსხაშვილშვილს, მელალ-ოსმან და იუსუფ ქარცივაძეებს, ალი ზოიძეს და იუსუფ ბერაძეს, რომლებმაც იკისრეს ყოველგვარი შემწეობა ჩემდამო რწმუნებულ ქაქუთის სკოლის შენობის აგების დროს და შემოსწირეს სკოლას ტყის მასალები, თითოეულმა სამ მანათად ღირებული, აგრეთვე დიდს მადლობას ვწირავ მერაბ ხაფთასს, სამუელ და გლახუნ შავიშვილებს, დიაკვან ანთიმოზ ლომჯარიას, მოსე ბოქვაძეს ალექსანდრე ლომჯარიას და სილვან მყევანაძეს, რომლებმაც შემოსწირეს ფულად ოცი მანეთი და განაცხადეს სურვილი ამ კეთილ საქმის აღსრულების მზრუნველობისა.

მასწავლებელი ქაქუთის სამრევლო სკოლისა
რაჟდენ კონტრიძე

## შემოწირულება

—

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ რკინის გზის სახელოსნოს ქარხნის მომუშავე ქართველთ შესწირეს: ზაქარია ალექსანდრეს ძემ კ. მაჩაბელმა 1 მ., დავით როსტომაშვილმა 1 მ., გოლა ბეჟუაშვილმა 50 კ., მარიამ ესტატეს ასულმა საძქუაშვილის მეუღლემ 20 კ., ლავრენტი სამქუაშვილმა 1 მ., ივანე ჭავჭავაძემ 60 კ., ივანე სტარუამ 30 კ., მიხეილ მაჩაბელმა 20 კ., ილიკო კოპალაიშვილმა 40 კ., დავით ფურცელაძემ 50 კ., ნიკო დათაშვილმა 40 კ., სიმონ ხარაზოვმა 50 კ., ჭიურელმა 20 კ., იოსებ გამყრელიძემ 30 კ., მიკირტიჩ ჩიბუხჩოვმა 15 კ., იოსებ დარახველიძემ 30 კ., ნიკოლოოზ ხეთაგუროვმა 30 კ., იაკობ თარხანოვმა 25 კ. ილინმა 20 კ., გიორგი ხეთაგუროვმა 20 კაპ. სულ 8 მ. და 45 კ.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ფოთი ი. ი. ცალქალამანიძეს.** გვეკითხებით, ნამდვილად შეგვატყობინეთ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებულ რომელ მამულების ვაჭრობა არის გადადებული, მარტო ტფილისის მაზრისა, თუ ქუთაისისა და სხვებისაცაო. გაცნობებთ, რომ ყველა მამულების ვაჭრობაა გადადებული, ქალაქისა 9 იანვარამდე და სოფლისა—11 იანვრამდე.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ.

**იოკაჰამა.** 7 დეკემბერს, კაიჩენგის მახლობლად კაცურის რაზმი ჩინელების ჯარს წააწყდა, რომელსაც ჰმეთაურობდა ლუნგი და 10,000 კაცისაგან შესდგებოდა. 5 საათის შებრძოლების შემდეგ, ჩინელები უკუ იქცნენ. ზარალი არ იციან.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა ის ინსტრუქციები, რომელნიც უცხო სახელმწიფოებმა წარუდგინა და რომელნიც ერზერუმში მომხდარ არეულობის გამომძიებელ კომისიის უცხო ქვეყნელ წევრთ შეეხება. ამ კომისიის ოსმალელნი წევრნი უკვე მოვიდნენ ერზერუმში და უცხო ქვეყნელთა დელეგატებს მოელიან.

**ბერლინი.** მდინარე ელბა ადიდდა და ქ. გამბურგის რამდენიმე განყოფილება წყალმა დაჰფარა. დაზარალდა საქონლით სავსე სარდაფები. წყალმა დაჰფარა აგრეთვე ალტონის დაბლობი ადგილები. ზარალი რამდენიმე ასი ათასს მარკას უდრის.

**ლონდონი.** ძრიელმა გრიგალმა დიდი უბედურება დააწია ინგლისს; სახლებისა და ბუხრების დანგრევის დროს მრავალი დასახიჩრდა და მოკვდა. ზღვის ნაპირებთან გემები დაიმსხვრა და მრავალი ხალხი დაიღუპა. გრიგალის გამო მენჩესტერიდგან ლონდონში მიმავალი სახალხო მატარებელი ლიანდაგს ასცდა და მუშა-მატარებლის ვაგონს დაეჯახა. სახალხო მატარებლის რამდენიმე ვაგონი სულ ერთიანად დაიმსხვრა, ამასთანავე 12 კაცი მოკვდა და 52-კი დაშავდა.

# განცხადებანი


მიიღება ხელის მოწერა
1895 წლისათვის
ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

**მოამბეზე**

(II წ.)

| | 1 წ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ-გარედ . . | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მ., 1 აპრილამდე—3 მ. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია. გამომცემელი ალექსან. ჯაბადარი

(5—უ.—1)

С.ПЕТЕРБУРГСКОЙ ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРІИ

პუდრა „ჰიგიენა“
„მშვენიერი“ სურნელოვანებისა,
„პირისახეს“ არ“ დაეტყობა.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(9—15—2)

ამ დღეებში გ მოვა გასაყიდად
თ. რაფიელ ერისთავის

**თხზულებანი**

პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროტასკვიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაშვეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანცუზსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |

„ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონების გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



ვერცხლისა ოქროსი

ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა.**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

**ა. ა. თუთაევისა**

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინას შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ-ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსოფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად ავჭალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც გუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში, თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—39 ალალო თუთაევი




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.